ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲜᲐᲬᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ. ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔ.

№ 18 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ 23 1895 Წ. № 18

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲘᲡ: ჩვენი სულიერი მამების საყურადღებოთ.—გ. წულუკიძეს.—სხვა-დასხვა ამბები.—თბილისს. ლეკსი სალოვანისა.—საყურადღებო ამბები.—ეპერმიტები.—ლ. ალანიაშვილისა.—ორჭოდ შეჭდულობა (დასასრული) ო. ჭელიძისა.—ოვეთ ხელი, ვ. ბარნოვისა.—მეორე შენიშვნა ბ. ალანიაშვილის.—განცხადება.

ჩვენი სულიერი მამების საყურადღებოთ

ყველი მაცხოვარმა საჭიროთ დაინახა, მის მოწაფეებს ჭკოდნოდათ სხვა-და-სხვა ენა, რათა ყოველი ხალხისათვის საკუთარ დედა ენაზე ექადაგნათ ქრისტეს სარწმუნოება. ამიტომ ალუთქვა მათ სული წმიდა და უბრძანა: მინამ სული წმიდა არ გადმოვიდოდა მათზე, დაეკადნათ და არ შედგომოდენ ქადაგებას (იხილე სახ. ლუკ. თავ. 24 მუხ. 29). მოციქულებმაც აღასრულეს თავისი ზეციერი მოძღვარის ბრძანება: მხოლოთ მაშინ შეუდგენ ქრისტეს სარწმუნოების ქადაგებას, როცა განთალდენ სული წმიდით და მიიღეს ნიჭი სხვა-დასხვა ენებზე ლაპარაკისა. თვითეეული ხალხს თავის საკუთარ ენაზე ეგონებდენ ქრისტეს სწავლას და ამიტომაც საკვირველი წარმატება ჰქონდა იმათ ქადაგებას... შესანიშნავი სისწრაფით ეგაერცელეს ქრისტიანობა და მრავალი ხალხი შეიჰინეს ეკლესიასა. იმათ რომ უცხო, ანუ გაუგებარ ენაზე ექადაგნათ ახალი სარწმუნოება, მაშინ ცხადია, ვერავის ვერ მიიზიდავდენ და მოაქცევდენ.

ადამიანის გულისა და გონების თვისება ვამჩენმა ღმერთმა იცოდა და ამიტომაც მაცხოვარმა ის საუკეთესო საშუალება უჩვენა თავის მოწაფეებს, რომელსაც შეეძლო უფრო ადვილათ ჩაენერგნა ადამიანის გულსა და სულში ქრისტეს ღვთაებრივი სწავლა.—ეს საშუალება იყო, როგორც ეთქვით დედა ენაზე ქადაგება, სწავლება და ღვთის მსახურების აღსრულება. ქრისტეს რჯული ითხოვს უმთავრესათ რწმენასა და სიყვარულს. ამიტომ ის უფრო გრძნობაზე მოქმედობს და გულით შეეთვისების. გონება კი ხშირათ ვერც კი მიწვდება ჩვენი სარწმუნოების მაღალ ჭეშმარიტებას. ამიტომაც არის, რომ სარწმუნოების უცხო ენაზე ქადაგებასა და ღვთის მსახურების ასრულებას არ ძალუძს იმოქმედოს ადამიანის სულსა და გულზე.

ყოველი ხალხი, რომელსაც კი ქრისტეს სარწმუნოება მიუღია, ცდილობდა თავის საკუთარ ენაზე გადმოეღო ყოველი ღვთის მსახურება და სალმრთო წერილი. სანამ ხალხს ეს წადილი აუსრულდებოდა ქრისტეს მოძღვრება ვერ იკიდებდა მის გულში ფესვს. ჩვენშიაც ხომ ასე იყო. თავდაპირველათ, ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ჩვენს ეკ-

კლესიაში ბერძნულ ენაზე სრულდებოდა ღვთისმსახურება, რადგანაც არც ლეგლები გეყოფდა საკუთარი და არც საკრძო წიგნები გვქონდა გადმოღებული. მაგრამ ჩვენნი ბეღათ ეს დიდი ნაკლი მალე აიცილეს თავიდან ჩვენმა წინაპრებმა. შეუფერენ ყმაწვილების აღზრდას და გაიჩინეს საკუთარი ლეგლები; გადმოიღეს ქართველთან ყოველი ღვთის მსახურება, ყველა საეკლესიო და საღმრთო წერილის წიგნები. ქართველი ერი ელინსა სახარებასა და წირვა-ლოცვის მოსმენას ქართულთან.

იმ დროიდან დაწყებული აგერ ათას-ხუთასი წელია, რაც მთელ საქართველოში და ყველა ქართულ ეკლესიაში ქართულ ენაზე სრულდებოდა ყოველგვარი ღვთის მსახურება. მთელმა ხალხმა შეიგნო და შეითვისა თავის საკუთარ ენაზე ყოველი სიტყვა ქრისტეს სახარებისა, ყოველი მისი მცნება და ჭეშმარიტება. ამ ენაზე გაუგებარი და მიუწდომელიც კი გასაგებათ და მისაწდომათ გახდა. ყოველს ჭირსა და ლხინში სახარების სიტყვები ფიგურდება მას, იმეორებს, მითი ნუგეშობს და ტკბება ხოლმე.

ჩვენს მრავალ წამებულს ხალხს ბევრი განსაცდელი ენახოს და გამოუცდია; მრავალჯერ შებღალული მძეინვარე მტრისაგან მისი ეროვნება, დამოუკიდებლობა და თავისუფლება; იგი მრავალჯერ ყოფილა ურჯულო მტრის ხელში ჩაგრდნილი, ბევრჯერ შეცვლილა დროებით მისი პოლიტიური და ეკონომიური წეს-წყობილება, მაგრამ ეკლესიური წესი კი, მაინც, ყოველთვის მტკიცედ და შეურყეველათ დაუცავს. რა იყო ამის მიზეზი? ის, რომ საერწმუნოება და ეკლესია მისი ეროვნული ნიადაგზე იყო დაყენებული. მას ესმოდა თავის სამშობლო ენაზე წ�და მამების მოძღვრება. ისინი იყვენ მისი გამამხნევებელნი, მისი ნუგეში ᲓᲐ სასოება. ჩვენმა ᲬᲣᲤᲜᲘᲜᲓᲔᲛᲐ სულიერ-ს მამებმა არა თუ არაფერი არ გარყვნეს და დაკარგეს, არამედ დროთა განმავლობაში თანდათან განაშენეს და ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲘᲗ ყოველ გვარი ღვთის მსახურება ქართულ ენაზე, რასაც ცხადათ გვიმტკიცებს, ერთი მხრით, უთვალავი საღმრთო წერილისა და საეკლესიო წიგნების რიცხვი, დაშთენილი ჩვენს ეკლესიაში, მეორე მხრით, მრავალი შვენიერი ეკლესიები და მონასტრები, რომლებითაც მოფენილი იყო მთელი საქართველო. ამ გვარათ გაისმოდა უწინ მთელ საქართველოში დიდება ქრისტესი ქართულს ენაზე და ამ ქართულ წირვა-ლოცვას, ქართველათ ღვთის მსახურებას, ქართულ ქადაგებას და ქართულ აღზრდას უნდა მივაწეროთ, რომ ქართველობა დღემდის შენახულა.

ახლა კი, როცა არც გარეშე მტრები ეგასვენა გარშემო და არც გამოცხადებული ომი არსებობს ჩვენში, რასა ეფიდეთ?

იმას, რომ ზოგიერთი უმეცარი და მეტიჩარა ჩვენი სულიერი მამების წყალობით ნელ-ნ�eთა, მაგრამ-აშკარათ იცვლება ის ეკლესიური წესი და ჩვეულება, რომელიც ასე დიდი ხნის განმავლობაში ყოფილა დამყარებული და დაცული ჩვენს ქვეყანაში. რომელსაც ათასი წლობით შეჩვეია და შეთვისებია ჩვენი ხალხი! —არა თუ ქალაქებში, სოფლებშიაც კი შემოიღეს ამ ბოლოს დროს ხალხისათვის უცხო ენაზე წირვა-ლოცვა. ნეტავი ეიცოდეთ მაინც, რა საკვირველამ გამოიწვია ასეთი უკუღმართი და მაენებელი ცვლილება. ყველამ კარკვი ეიცით, რომ ასეთი გაუკარკუნელება არ მომხდარა და ძალა არაფის დაუტანებია ჩვენი მეტიჩარა სულიერი მამებისათვის, რომ ისინი იძულებული გამხდარიყვენ შეხებოდენ ჩვენს წმიდათა-წმიდას და შეეცვალათ ის, რაიცა ყოველ ხალხისათვის უფერფასეს საუნჯეს შეადგენს. ა კი რა საფიქრებელია, რომ იმ დროს, როდესაც მთელ ს-ხელმწიფოში, არა თუ ქრისტიანებს (სომხებს, ფრანგებს), არამედ ყველა ჩუკულის ხალხს (თათარს, სპარსელს, ურიას და სხვ.) მინაქებული აქვთ კანონით უფლება თავის საკუთარ ენაზე ადიდონ ღმერთი. ჩვენ ეიმე ᲒᲔᲘᲧᲠᲗᲚᲐᲗᲘ ჩვენ ენაზე წირვა-ლოცვას? მაშ რითი უნდა გაიმართოლონ თავი ამ ჩვენმა სულიერმა მამებმა, რომლებიც ასე იქცევიან.

რა სამწუხარო შედეგი მოჰყვა მერე იმათ ასეთ უკუღმართ მოქმედებას?

ის, ბატონებო, რომ ხალხი, რომელიც ყოველ კვირა-უქმე დღეს ხალხისთ მიდიოდა ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ, რათა დამტკბარიყო ეკლესიური მსახურებით და გალობით თავის დედა-ენაზე, დღეს გაურბის ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ და საეალდებულოოთ აღარ თელის წირვა-ლოცვაზე სიარულს. ახლა ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ყოფნას სამიკ-ტონში და სოფლის კანცელარიასთან ყოფნას და იქ ლაყბობას ამჯობინებს. ამ გვარათ ჩვენი ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ დაცარიერდა, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებშიაც, ხალხმა ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ გული აიყარა და იქ მას აღარა იზიდავს რა. „რომ, წავიდე რა გავაკეთო? იქ არა მესმის რაო, და მულალრუთ დგომა რა ხელს მომეცმსო“, ამბობს ხალხი, და მართალიც არის.

აი რა მოგეტანა ზოგიერთა ჩვენი სულიერი მამების უგნურმა მოქმედებამ! აბა სწორედ ამაზეა ნათქვამი: „ციხე შიგნიდან გატყდებაო“.

გ. ᲬᲘᲜᲐᲠᲘᲫᲔ

სხვა-და-სხვა ამბები

ᲒᲣᲗᲘᲡᲘᲡ საბჭოს გადწყვეტილა თავის უკანასკნელი სხდომაზე, რომ იდღესასწაულონ გბრიელ ეპისკოპოსის 35 წლის მოღვაწეობა. ამისათვის ამოურჩევიან კომისია, რომელმაც უნდა თვით გბრიელ ეპისკოპოსისაგან ნება აიღოს და შეადგინოს რაკვარაი უნდა იდღესასწაულონ ეს დღე.

***

6 მაისს დანიშნული ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე იქნება განხილული პროექტი თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენლობაზე და სხვათა შორის ამორჩევაც იქნება სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სახელმწიფო განყოფილების ორის წევრისა და ორის კანდიდატისა.

***

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება შეწირვა 10,000 მანეთისა ბოდბის ის დედათა მონასტრისათვის, სადაც ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინო არის დასაფლაებული. ამ ქამთა მონასტერში 80 ღვთის მსახურია და ამათში ექვსი თუ იქნება ქართველი, ამიტომაც აქ წარვა-ლოცვა ქართულ ენაზე ძალიან იშვიათია, რომ ღვთის მსახურთათვის გასაგები იყოს რუსულად წარვენ. ადრე, სანამ მონასტერში მოხუცებული მღვდელი იყო, წარავენ ქართულად, ახლა აქ ახალგაზდა განათლებული მღვდელია და რუსულად წარავს. ქაზიყლებს არ ესმით წარვა-ლოცვა და ამიტომაც გული აიყარეს და აღარ დადიან საყდარში, კიდე კარგი რომ სოფელმა მოახერხა თავისთვის პატარა ეკლესიის გაკეთება და იმდენა, როდესაც ამ ეკკლესიაში წირვა-ლოცვა გაიმართება, ხალხი ძველებურათ დაუბრუნდება თავის ეკკლესიას.

***

„კეალის მე-12 ნომერში იყო დაბეჭდილი ორიოდ სიტყვა სამტრედიის უსუფთოობაზე, ახლა იქიდან გვთხოვენ გამოეცხადოთ, რომ სიბინძურე მხოლოთ ადგილობრივ საპატმროში თუ მოაპარებთ და სხვაკან არსადო. ამაზე ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ კარგი იქნება იქაც მოისპოს ეს სიბინძური.

***

დაბა ყვირილიდან გვატყობინებენ, რომ სტეფანე გვარაშვილი და ალექსანდრა (ოგიეე ცაცა) სპირიდონ ᲗᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲘᲡ ასული შეუდგენ ხელის მოწერას ზეპირ სიტყვაობის ფონდის სასარგებლოთ. შემომწირველთა შეუძლიან მიმართონ ლუკა ბალახოვის მაღალზიაში. ზემოხსენებულ პირთ.

***

გაზეთ „იევრიის“ სიტყვით ტფილისის კათოლიკეთა მოხუცებულ მოძღვარს პეტრე მჭედლიშვილს, რომელიც ამ ცოტა ხანში გადაიცვალა უანდერძნია 11,000 მანეთი თბილისის და ჯავახეთის ქართველ კათოლიკებთა ეკლესიებისათვის და ამ ეკლესიებთან გამართულ შკოლებისათვის.

***

ჩვენ გვწერენ, რომ ქუთაისში ამ ქამამ მრავალი თავად-აზნაურობა ფათურობს, ოდიშ-ლეჩხუმიდან ჩამოსული ღირსების სძიებელთა. მათ, რასაკვირველია, ბინა აქვთ სასტუმროებში, რესტორანებში და სამიკიტნოებში. ზოგიერთ საქმეო პირებს აქ ჰყავთ მიჩენილი თავიანთი მოყოფილები, რომელთაც მიეკვეთ გამომძიებელები იმათთან და უზომო ხელფასს ახდევინებენ თარგმნაში, არზის დაწერაში და საერთოთ საქმის წარმოებაში. საქმის გაკეთება, რომ ღირს 5—10 ან 15 მ. ისინი ახდევინებენ 50, 100, 150 მანეთს. ამნაირათ უმისოთაც ტყვე-გამძიერალს ოდიშ-ლეჩხუმის თავად-აზნაურებს აქ კიდევ მეორეჯერ ტყვე ძერებათ. ეს კიდე რა? ზოგიერთი ისეთი „აბლაკატებიც“ არიან, რომ მიკეტური რუსულითი თარგმნილან საბუთებს, ზოგი იმავე რუსულითი მარტო შანაარს თარგმნის და წერს არზებს, ზოგი რას ჩაღის, ზოგი რას. ყოველივე ეს ბოროტ-მოქმედება მაშინ აღმოჩნდება, როცა საქმე გაირჩევა, მაგრამ გვიანღა იქნება. საჭიროა დაეგალოს მთხოველებს, რომ ქალაღლების წარდგენისათანავე წარადგინონ დეკუტატთა საკრებულოში კეტანცია ხელმოწერილი იმ პირისაგან, ვინც უწარმოა საქმე. ამ კეტანციაში ანიშნული უნდა იყოს თუ, რა ხელფასი აიღო მან არზის დაწერაში, ან თარგმნაში, ან პაპეწინების (კოპიების) გადაწერაში. ეს უკანასკნელიც საჭიროა მისთვის, რომ ზოგიერთები ვერ არჩევენ ხელთ-ნაწერებს და გადააქვთ დაქარაგმული. ესე ძნელი ამოსაკითხი სიტყვები, მაგ. ზოგს „ძალის“ მაგიერ დაუწერია „მადის“ „დაგეეეჯეს“ მაგიერ „დაგესაჯეს“ მდივანბეგო უხუჯესა — მაგათი ხუცესი და ამისთანეები ათასი. აქ ვერ ეტანა მარტო ეს პაპეწინები, და რა უნდა გამოტანონ იმთვან არქეოლოგ-მეცნიერებმა?

ზოგიერთ სოფლელ „აბლაკატებს“ აუღიათ თითქმის მთელი მაზრების საქმე. 500—600 მოსახლისა. თითონ არა გაეგებათ რა და საქმეს კი აკეთებინებენ (?) სხვა-და-სხვა სამიკიტნოების მწერლებს, მთელ საქმეს 3—5 მანეთათ; 50—80 მანეთს კი თითონ იტოვებენ ჯიბეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ბ ი ლ ი ს ᲘᲡ

ალაქო, ქართველთ სისხლითა
ნარწყავო, ძველებით ნაშენო!
ჩვენ წინაპართა სამარეე,
ჩვენ მეფეთ ტახტის მაშენო!

—

მოგესალმები, დასაელით
შენის ტრფობითა მოსული: —
მინდა—გიყურო, მით დაეტკბე,
წუთს მოესვენო მე სული.

—

და გიცქერ. აი სიონი,
წმინდა დაითი, მეტეხი...
მაგრამ ეაიმე!.. მეწია
ფიქრი, გულისა გამტეხი.

—

განა შვილს ძალუძს—ილხინოს,
როს მშობლის ტანჯვებს იგონებს?!
გულს ძალუძს—ტკბილათ ატოკდეს,
როცა მას სეედა იმონებს?!

—

არაბებს, თურქებს თუ სპარსებს
თეალი სულ შენკენ ეჭირათ—
და გაოხრებდენ, გაქცეოდენ,
რომ შენ შეილთ შენზე ეტირათ.

—

ჯალალ ედინმა შეგმესარა,
გადინა ტუტა-ნაკარი,
შებღალა წმიდა-წმიდათა—
შენი სიონის ტაძარი.

—

წმინდა ხატები იქიდან
მოიღო ბილწის ხელებით,
კუკის ხიდზე დაგდო,
თაგზე დადგა მცველებით—

—

და ბძანა: „გიაურებო!
გმეთ ეს ხატები უმსგავსო,
თუ არ გსურთ—თქვენი ლეშებით
მტკეარი პირამდი აეავსო!..“

—

და ბარბაროსმა შეეპყრა
ბძანების უარმყოფელნი: —
ათასობითა წალეკა
მსწრაფულ მტკეარმა ქრისტეს მხმობელნი...

—

კელაე მახსოეს, კეალათ ეიგონებ
აღა-მამად-ხანს წყეულსა,
შენი შვილების საკლეტათ
კრწანისით შემოსეულსა.

—

პატარა კახი ეეფხვიეთ
ეძგერა სისხლის მსმელებსა: —
ჭლეტდა, დახოცილ მტერებით—
ფარავდა ბრძოლის ველებსა...

—

მაგრამ ამაოთ!.. მტრის ჯარი
მოაწეა დაულეველი. —
შინაურ უთანხმოებით
იძლია მძლეთა მძლეველი...

—

და გათამმდა ურჯულო,
რომ სცნო ირაკლის გაქცეეა: —
შენი კედლების, სახლების
დაიწყო დაწვა, დაქცეეა...

—

ექეს დღეს მუსრავდა სამკეიდროს,
ბუგავდა ყანებს, მინდერებსა...
წყეეტდა და ხოცდა ეწყალოთ
ტყეეუქნილსა შენსა მკეიდრებსა.

—

ვინც ქრისტე არ გმო, არა ქნა
მაჰმადის რჯულზე მოქცეეა—
აელაბრის ხიდზე ჯალალის
გაუმეორეს მოქცეეა.

—

და მტკეარი მკედრებით აიესო:
დახოცეს შენი შვილები,—
არ ზოგეს ეაჟნი, არც ქალნი,
მოხუცნი, არცა ჩვილები...

—

რომელი ერთი მოეთვალო?
მარადის მტერი გესია: —

ათასჯერ ოხრებულხარ,
ათასჯერ დაგიკენესია...

—

ვისაც არ ემონებოდი,
ან ვერ აძლებდი ვერცხლითა —
მოგვსყიდოდა, გარბევდა
მახვილითა და ცეცხლითა,

—

ეხ! ისევ მიჯობს—ვევიწყო
შენი შაებნელი წარსული.
მოსენების წილ მოწამლა
მან ჩემი გული და სული..

—

ურჯულო მტერნი მოგეშორდენ,
მოისპო ბრძოლა-ომები, —
არ გეკლუტენ სარკინოზები,
არცა „ირანის ლომები".

—

გაზრდილხარ, დაგიქერია
მთა-ბარი ოთხსავ მხარესა,
კეკლათ იზრდები, ასწორად
შენს მთიან არე-მარესა.

—

აი სახლები ლამაზი,
მაღალი, უზარ-მაზარი!
ხალხითაც გაჭედილია
მთელი ქალაქი, ბაზარი...

—

რა იქნენ შენი შვილები,
უმამაცესნი ლომებში?
ნუ თუ სულ გაწყვდენ ბეჩავნი
მტრებთან უსწორო ომებში?!.

—

ოხ, ეხედავ!.. აი აქა-იქ
ქართველთა მცირე გუნდები; —
ზოგს ხელთ ყანწები უჭირავსთ,
ზოგსაც—სტვირნსა გუდები.

—

„ქართველებს გაუმარჯოსო!"
ყანწებს ზედი-ზედ იცემენ—
და უმისოოც თხელ ჯიბეს
სხვების დახლებში იცლიან...

—

ან ილესავენ ძმის სამტროთ
ბილღებს, ბერავენ სტვირსსა, —
კბენენ და კბენენ ერთმანეთს,
თხზავენ, ჭორავენ ძვირებსა...

—

ეეძებდი მოსვენებასა,
გულსა წყეროდა სიამე, —
ამის წილ ფიქრმა სევდისა
ჯაერები მომისია მე!..

—

მაგრამ, ჰე გულო ბედკრულო!
ნუ ემონები სევდასა!
ხედავ საამოდ ქართველ ეაქს,
ორიოდ ქართველ დედასა?

—

მათ გულში ძმობა, ერთობა,
მამულის ტრფობა ანთია!
სამშობლოს სწირავენ სულს და გულს—
და მომავალიც მათია!

ხილოვან.

თბილისი 29 მარტი, 1895 წ.

საყურადღებო ამბები

ოფ. ჯუმათიდან. სამი-ოთხი წლის წინათ ჯუმათის სოფელი შეადგენდა მეტათ შეეიწროებულ საზოგადოებას, რადგანაც ამ სოფელში ავაზაკების მიზეზით მოხდა მრავალ-ჯერ გატეხა, გაძარცვა და სხვა უბედურება და ეს სოფელი დისაჯა მართებლობისაგან სასტიკათ, სადაც იყო ჩამოყენებული რაოდენიმე სოტნა (ეაზეკუცია), ცხენოსან კაზახ-რუსებისა და ამ პატარა სოფელს არა ერთხელ გადახდა ავაზაკების წყალობით რამოდენიმე ათასი მანეთი. მიზეზი ამ უბედურებისა დღემდე არც იყო აღმოჩენილი, მაგრამ ბ-ნ ოზურგეთის მაზრის უფროსის ალშიბაიას ბამოცდილებით უკანასკნელ ხანებში ყოველივე კეალი ამისთანა უბედურებითი შემთხვევისა აღმოჩნდა. ავაკაცობა თურმე გამრავლდა იმის მიზეზით, რომ სოფლის ახლერებს შიგნით მოსახლოებენ ისეთი პირნი, რომლებიც კამერალიურის აღწერილობით ეკუთვენიან ხსვა ახოგადოებებს და ესენი არ ემორჩილებოდენ ადგილობრივ სოფლის მოხელე პირებს და ვერაფერთარი მშვიდობიანობის დასაცველათ დღემდე მათ სახლობაში ვერ ეწვეოდა ადგილობრივი მამასახლისი, ან იმისი

თანაშემწენი (ნაცელები) და იყვენ გამაგრებულნი ისე, როგორც ძველი მეციხოვნე თვის ყმებზე, მხოლოთ მათ ოჯახში შეეძლოთ მისულიყო მამასახლისი იმ სოფლისა, სადაც ისინი კმეფალიაში ეწერენენ. რასაკვირველია, ამისთანა სამართლით იყო ატეხილი უმპაყოფილეᲜ და ამას მოყეებოდა ცარცვა და სხეა გვარი ბოროტ მოქმედება ჩამოსახლებულის პირებისაგან, მაგრამ იღბლათ ბ-ნმა მაზრის უფროსმა ალშიბაიამ გამოითხოვა ნება რომ ეუ. გუბერნიის უფროსისაგან, რომ მეცხოვრებლები ეალდებულნი არიან, დაემორჩილონ იმ სოფლის მოხელე პირებს, რომელშიაც ისინი ცხოვრებენ, მხოლოთ ფოსტის და „ზემსკის“ ფული იხადონ იმ სოფელში სადაც არიან ჩაწერილი აღწერილობით. ამ ახალის განკარგულებით თავ-ზარდაცემულნი შეიძენენ ის დროებით მცხოვრებნი ჯუმათის სოფელში და ატეხეს რაღაც სარიერები მართებლობის წინაშე და უნდათ ეს ნამდვილი კანონიერი მოქმედება ბ. ალშიბაიანი დაარღვიონ და მათში სუფეედეს ძველებური მოქმედება. 19 მარტს ადგილობრივ მამასახლისს წმ. იაკობის ეკლესიის გალავანს შიგნით დაემუქრენ კიდეც. მაგრამ ღმერთსა ეთხოე ბ-ნ ალშიბაიას მოქმედება ნუ შეარყიოს, და როგორც ქეეყნის დამამშვიდებელი — ძალა დამტკიცოს.

ს. ი. ერმონაშვილი

* * *

ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ჩვენს ქალაქს ერთი ძეირფასი დაწესებულება მოემატა, ეს დაწესებულება, რომელსაც მე ძეირფასს უწოდებ გახლავთ ქალაქის სამმართველოს საფგომში გახსნილი სახალხო ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკის ერთი ოთახი დათმობილი აქეს უფასო სამეითხეელოს სადაც ყველას, განურჩეველთა წოდებისა შეუძლია უფასოთ წაიკითხოს ყოველგვარი ტურნალ-გაზეთები, როგორც რუსული, აგრეთვე ქართული. მაგრამ ჩვენნდა სამწუხაროთ ამ ძეირფასის დაწესებულებით ჯერ კიდეე ვერ სარგებლობს უმეტესი ნაწილი ქუთაისის მცხოვრებლებისა. ეს უმეტესი ნაწილი გახლავთ ქ. ქუთაისში მყოფი სხვა-და-სხვა მოხელეები, ქარხნებში მომუშაეენი, დღიური მეშუბი და აგრეთვე ეჯარ-ნოქრები. მოგეხსენებათ ერთთან ერთი დრო ამათი თავი-სუფლებისა კეირა-უქმე დღეები დროა და ამ დროს ჩვენი უფასო სამკითხეელოს კარები, მარტო სამი საათის განმაელობაშია გაღებული. ასე მცირე ხნის განმაელობაში ვინ რა უნდა ისარგებლოს ქალაქის უფასო სამკითხეელოთი? უმჯობესი იქნებოდა, რომ ჩვენი ქალაქის უფასო სამკითხეელოს მიებაძა სხვა ქალაქების უფასო სამკითხეელოებისათეის და კვირა უქმი დღეების დროს უფრო მეტ ხანს ყოფილიყო გაღებული.

ი. გ—ძე

* * *

ᲒᲣᲯᲘ. (აფხაზეთი). ამ ცოტა ხანში გაეგმართეთ ამ გუდაუთის სამკითხეელოს დარბაზში, ქართეული წარმოდგენა და დასასრულ დადგმულ იქნა ცხოვეელი სურათები რუსების ცხოვრებიდან. ქართულთან წარმოადგენეს „დედა და შეილი“ თ. ილ. ჭავჭავაძისა და ორი მოქმედება ა. ცაგარლის კომ. „რაც გინახავს, ე�eარ ნახავ!“ განსაკუთრებით საზოგადოების ყურადღება მიიქცია ქართულ წარმოდგენაში ქ-ნ ოლღა ჩიქოანისამ, რომელიც რამდენჯერმე საზოგადოების თხოვნით გამოწეეულ იქნა სცენაზე. მრავალჯერ დაჯილდოვეს ტაშის ცემით და ეკაშას ძახილს ხომ დასასრული აღარ ჰქონდა. მართლაც ისე შეენიერთ და საგრძნობლათ შეასრულა ამ ქალმა დედის როლი, რომ დღესაც ყველას თვალწინ უდგია ის ქართელის დედა, რომელსაც თავი ი უკანასკნელი ერთთან-ერთი საყვარელი შეილიც არ დაუზოგავს მომმეთ საშეელთთ და მამეოს სახსნელათ. საზოგადოებამ დიდი მადლობა გადაუხადა ქ-ნ ოლღა ჩიქოანისას და თხოეა შემდეგშიაც მიიღოს მონაწილეობა ქართულს წარმოდგენაში. მართლაც დიდს პატივს ცემს აქაურ საზოგადოებას ეს ქალი თუ, რომ თავის ნიჭს ჩვენს სცენას მოახმარებდეს. კარგი იქნება რომ მისი შემწეობით ხანდახან მაინც გაიმართოს ქართული წარმოდგენა. კარგათ ითამაშეს ბ. ეანო პ. ბეთანიშეილმა, აგრეთვე განსაკუთრებთ დიდი მადლობის ღირსია აქაური მასწავლებელი ბ-ნი ნიკო ჯანაშია, რომელმაც გარდა იმისა, რომ თავისი როლი კარგათ ჩაატარა, შემწეობაც ბეერი აღმოგეჩინა და ხელი გაგეგმართა. ღმერთმა ჰქნას, რომ ასეთი კეთილი ადამიანები მრავალი მოსატებოდეს ჩვენს დაეწყებულს გუდაუთს. ბეერმა სხეებმაც აღმოგეჩინეს დახმარება, მაგ. დიმიტრი ნადარეიშეილმა მატერიალურის მხრივ დიდი სამსახური გაგეწია.

საზოგადოთ ამ ქართულმა წარმოდგენამ, რომელიც პირველათ იყო გამართული გუდაუთში, კარგათ ჩაიარა. საზოგადოებაც, როგორადაც მოსალოდნელი იყო, ბლომათ დაესწრო, მხოლოთ, სამწუხაროთ, დარბაზის სეიფრო�eა გამო, ბეერნი უკან დაბრუნდენ. ცოცხალი სურათების დადგმაში მოგვეხმარენ ბეერნი განსაკუთრებით მადლობის ღირსნი არიან ქ-ნნი გრიგორიეეისა, ლეტატისა და მიხაილ ა. ჟდანოეიჩი, რომელთაც ითაეეს სცენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომზადება და მოწყობა. შემოსაღალი წარმოდგენიდან დანაშნეული აქაური სცენის და ტანისაცმლის შესაძენად. იმედი მომაღალში უფრო ხშირათ გაიმართება ამ პატიუცემული პირების შემწეობით რუსულ-ქართული წარმოდგენები და არ ჩამოიტრიეს ჩვენი მხარეკ სხვა საქართველოს კუთხეებს.

თ—ლე გ—ძე

* * *

ბაკურის სადგური. ამ წლის თებერვლის თექვსმეტ რიცხვში ბანჯის სადგურის სამკითხველოს რამოდენიმე ამორჩეულ წევრებმა, როგორც იყო გამოცხადებული გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ № 3830 მიერთვეთ თხოვნა კიკვასის რკინის გზის უფროსს ბ-ნ პუშენიკოვს, რომელსაც ეთხოვდით რამე დახმარება აღმოეჩინა სამკითხველოსთვის, რომელიც ავგრ თითქმის ორი წელიწადია დაარსებულია და არაფერ გაუმჯობესობაში არ შედის უფულობის გამო. მაგრამ ჩვენნი საუბედუროთ აქამდის პასუხიც არ ისმის და, მგონი, რომ ყოველი იმედი სამკითხველოს შესახებ გაგვიცრეფდეს, მით უფრო, რომ ამორჩეულ წევრებთა შორის უთანხმობა სუფევს: ერთი ალთას გაიძახის და მეორე ბალთას და, როგორც მოგეხსენებათ, სადაც თანხმობა არ არის, იქ საერთო საქმის კანონიერათ წარმოება არ შეიძლება. სამკითხველოს დაარსების მოთავე უფალი ი. გ. გალადუოვიც, მგონი, რომ გეიმტყუნებს; ის წამ-და-უწუმ იმას გაიძახის: „რა მოუხერხო, რა უყო, როგორ განეთავისუფლდე იმ მოვალეობისაგან, რაც მოვალეობა ეალთან მადეს სამკითხველოს შესახებო!“ სირცხელილია ამნაირი გულ-გრილათ მოპყრობა საქველმოქმედო საქმისა... ის წერილიც განკიცხულ იყოს, რომელიც მგლის შიშით თავის ცხერის ფარას უპატრონოთ ტოვებს სამოვარ ველზე! მართალია, გამოჩნდენ იმისთანა პირებიც, როგორიც მაგალითად: გ—ოვი; მ—ანი და ს—ოვი, რომელნიც რაღაც პირად ინტერესების სასარგებლოთ არღეეენ საერთო საქველ-მოქმედო საქმეს და არაფერ დახმარებას არ უჩენენ მას, მაგრამ მაგათ ნუ ითხოვებ ყურს, მოგვეც ბ-ნო გლ—ეო ისეე ძმურათ ხელი და შეეფუდეეთ ისეე საერთო და შენდა სასახელოთ სამკითხველოს გაუმჯობესობას და კარგ ნიადაგზე დაფუძნებას.

ვ. გენაგაძე

ტერმიტები

(თეთრი ჯიანქველები)

(კიდევ ორიოდ სიტყვა ‘ტერმიტებ’ზე)

ᲛᲝᲒᲐᲓᲘᲡᲘᲜᲔᲑᲗᲐᲜ, შაი ჯიანქველები რამდენიმე წოდებათ დაიყოფიან. ტერმიტებშიაც ორი წოდება (კასტა) —არიან მუშაკნი და მეფენი.

ბუნების მკელეველნი, ნატურალისტები, ბეეერნი იმ აზრისანი არიან, რომ მუშაკნი ჯიერეთ დაუსრულებელი (недоразвившіеся) მამალი ჯიანქველები არიანო და მეფენი კი დედალები—ისინიც დაუსრულებელنი. მაგრამ ამათ ვარდა ტერმიტების სახელმწიფოში წელიწადში ერთხელ გამოჩნდებიან ხოლმე მთლათ დასრულებული, ფრთებ შესმული ტერმიტები. ერთი ფრთიანი ტერმიტი სიდიდით ორი მხეადრის ტოლაა, მუშები კი 30 უნდა შეეეერთოთ, რომ ერთი ფრთიანი ტერმიტის ტოლა გამოვიდეს. ეს ფრთიანი ტერმიტები პარკებიდან თავს გამოყოფენ თუ არა მაშინათვე ანებებენ თავს თავიანთ სახლ-კარს და მთელ გუნდებათ ამოფრინდებიან ხოლმე თავისუფალ ჰაერზე და აქეე ილუპებიან. რამდენიმე საათის შემდეგ ჰაერში ფრთები გასცვეეთ ხოლმე, რის გამოც ასი-ათასობით ცვეეიან წყალში. და ახრჩობიან, აგრეთვე კენკამენ ფრინველები და ხვეიანან ქვე-წარმავალთა მსხეეპრალთა. მტრთ გადაკიდებული ჯიანქველებიც დაეხეეეიან ხოლმე და ულმობიერთან ქლეტენ. ბოლოს და ბოლოს ფრთიან ტერმიტთა უდიდეს გუნდისაგან ცოცხალი ორიოდე წყეილი (დედალ-მამალი) ძლიეს ღა რჩება.

აი ახლა აქ იწყობა ახალი ცხოვრება. როცა ბუდიდან ამოფრინდებიან ფრთიანი ტერმიტები, მაშინ გულდაკოდილი მხეერები და მუშები გამოცოცდებიან გამოფრენილთა საძებრათ. როდესაც შეხვდებათ ეს ერთი წყეილი (დედალ-მამალი) მაშინათვე ერთგულ ქვეშეერდომობას უცხადებენ ამათ და მეფე-დედოფალთან აღიარებენ: ულოცეენ ხელმწიფის ტახტს და დაამრძანებენ ხოლმე საუკეთესო სამეფო უდიდეს დარბაზში. მერე მოპეეეენიან და უზიდეენ ყოველნაირ საქმეს თაეიანთ მეფეს და დედოფალს. არ გაიეფის დიდი ხანი რო ხელმწიფე უკედებათ, ხოლო გულ-დაწყეტილი ქეეიეი, უმეგობროთ და უნუგეშოთ დარჩენილი დარდისაგან ხოლმე ალდება და სიედება, ბოლოს ისე გასუქდება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასქელდება ხოლმე, მეტის მეტი ჯაერისაგან, რომ 50,000 ჯერ სჯარობს სიდიდით თვითოეული თაეის ქვეშეფოდმს, ხშირათ ჩვენი ახალგაზდა ქერიეი უზუგეშოთ დაჩაგრული ისე ძეხვეეთ გატენილი ძეეს, რომ სამეფო დარბაზი რასაკვირველია ვეღარ იტეეს ამოდენა ლეშს. მუშა ტერმიტები იმივე თავ-თავ ადგანან დარბაზის კედლებს და შესაფერათ აფა-რთიეებენ.

მოგეხსენებათ მიწა გრილია და ჩვენი ქერიეი დედოფალიც როცა თოვლებს გლოვიარობას, ახლა იწყებს ზრუნვას სახელმწიფო საქმეებზე, ესე იგი მოჰყვება და განუწყეტელათ კვერცხებსა დებს. დღე და ღამე განუწყეტელათ ირჯება და მთელი ორი წლის განმავლობაში ყოველ წამს 60 კვერცხსა დებს, ესე რომ, ორი წლის შემდეგ ბატონიშვილების (პრი-ნცების ანუ შახზადების) რიცხვი, მეფის სისხლისა, უთვალავ რიცხვამდე ადის.

ბუნების მკვლეველ მეცნიერებს ხშირათ უდე-ენებით თვალ-ყური ტერმიტების ცხოვრებისთვის და ბევრს საინტერესო ამბებს აკეთწერენ.

საკმაოა ტერმიტების კოშკს (ბუდეს) სადმე კე-დელი ცოტადენათ შეუტარიოთ და თვალ-ყური ამ სარკმლიდან ადევნოთ. ამ სარკმელში იმივე წამს გამოჩნდება ჯერ ერთი მხედარი და რო ვაიგებს სამეფო საშინ მდგომარეობაშია, მტე-რი მოსულაო, მაშინვე გაექანება ბუდისკენ და სა-შინელ ალიაქოთს მოახდენს, ყველას ფეხზე დააყე-ნებს. მაშინ მთელი ათასობით ტერმიტთა ჯარი მოცვეა სარკმელთან და რაც კი რამ გზათ ხედებათ გაკოფებული კბენენ. ეი ის მეთვალ-ყურეს ბრა-ლი, რომელიც თავის გამოუცდელობით დროზე არ მოცილდება ამ გამქმეარებულ მეომართ: რაკი ჩაგელებენ კაშნი პირს ეეღარას გზით ეეღარ მოი-შორებ, თუნდ ლუკმა-ლუკმა გლეჯოთ გაანჩხლებუ-ლი ტერმიტი.

ახლა ბატონო რაკი იგრძნობენ რო მტერი უკვე გაედევნეთო, იმავე წამს სარკმელთან მთელი გუნდი მუშა ტერმიტებისა მოცვეა, რომელთაც პირით ცემენტი მოაკვესთ, თქვენგნით შემტერეულ კედელს ეს მუშა ტერმიტები ისეთის სისწრაფით ამოაშენებენ ხოლმე, რომ გაკვირვებული დარჩებით. ამ მუშაობაში მხედარნი მონაწილეობას არ იღებენ, ისინი მიდიან თავთავის ალაგას და მხოლოთ ერ-თი მხედარიდა დარჩება ხოლმე სადარაჯოთ. ხანდა-ხან ეს დარაჯი ტერმიტი თავს მაღლა აიღებს ხო-ლმე და ახალ ნაშენ კედელს ყბებს ატყაპამს. ამ დარტყმით თავისებური ხმაურობა ისმის რას გამოც შიგნით შიგან ბუდეში ალიაქოთი ატყდება ხოლმე. მუშებიც რაკი გაიკვებენ ამ ხმას მიეღო თავის ქალა, და ენერგიას შეიკრებენ ხოლმე, რომ რაც შეიძლება მკვიდრათ და სწრაფათ გაამაგრონ კედელი. ეთქვათ მეთვალყურეს ვერ მოითმინა და ხელმეორეთ გაან-გრია კედელი. იმ წუთსვე მუშები იმალებიან და ამათ ალაგას გამოკეეიან ხოლმე ისევ მხედარნი და უფრო გაანჩხლებით იკბინებიან.

როგორც ჯიანჭველები, ტერმიტებიც საშინელი მსუბუაი და ღორ-მუცელები არიან. ტერმიტების ბასრ ყბებს არაფერი ქვეყანაზე არ უძღება, რა-ნისა

და მინის მეტი, საშინელის სისწრაფით ღრღნიან იგინი ხეს, მუსრს ადენენ ქაღალდს, ანადგურებენ ტანისამოსს, ფეხსაცმელებს, ქეშსაგებს და ყოველ-ვე ა�.

ამერიკის ცხელ ადგილებში ტერმიტებმა საქმე ისე გაუჭირეს, რომ ძველათ შეხედვითი რიიმე ქაღალდს დოკუმენტს, რომელიც ნახევარი საუკუნე შენახულიყოს. არც ეგეოპიული ტერმიტები ჩამორჩებიან ხალმე თავიანთ ამერიკელ მოძმეებს ამ შემ-

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲐᲡᲘᲐ-ᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲗ.

ხეევებში. მაგალითათ, ქეიმო შარატის დეპარტამენტში პრეფექტურის არხიი თითქმის მთლათ გაანადგურეს ტერმიტებმა.

ღირს შესანიშნავია, რომ ტერმიტები რადგან უსინათლონი არიან, თავის ყაჩაღობასაც ბნელაში აქტენენ და ასე გასინჯეთ თუ არ მიწის ქვეშ, თხუნელასავე, ისე არ იმოგზაურებენ. აქედან ის ჩვეულება დაჩემდათ, რომ ყველა საკანს გარედან ხელს არ ახლებენ და კანის ქვეშ კი უკვე დაღრღნილია.

ცხელ ქვეყნებში (ტროპიკებთან) არა ერთხელ მოხდება ხალმე, რომ თქვენ არხენინათ ბძანდებით საკარიდელში და ამ დროს უეცრივ საკარიდელი ინგრევა, შეშინებული და გაკვირვებული ეძებთ მიზეზს თქვენის დაცემისას და თურმე, ტერმიტებს საკარიდლისთვის შიგნით გული მთლათ გამოურღნიათ და გარედან კი სრულებით არა ეტყობა რა. ეთქვათ თაროზე ხილი გიწყვიათ, ავერ თვალში მოგეწონათ, წაიღოთ ხელი მოწითანონ ეაშლს და შეგეშინდათ კიდეკ — ხელში ეაშლის მაგიერ რაღაც პარკი შეგრჩათ, თურმე გული მთლათ გამოუჭამიათ ტერმიტებს და კარისთვის კი ხელი არ უხლიათ.

ამ გვარათვე ტერმიტები ღრღნიან კედლებს და სახლის ბოძებს, გემების ფიცრებს და სხეა... ტერმიტები ამ გვარ მუშობის დროს საშინელ ჭკუას და მოხერხებას გამოიჩენენ ხალმე.

ამათზე კიდე უფრო მეტს ჭკუას იჩენენ ესრეთ წოდებული ჯიანჭეელ-ლომი, რომელიც არის დახატული ამ სურათზე. იხ. გვ. 10 ეს ლომს მიეგვანება მხოლოთ მხეცური ხასიათით. ბუნებას ამისათვის მიუნიჭებია დიდი მადა და კი არ მიუცია სიმარდე საზრდოს მოსაპოვებლათ. ამიტომაც თავის გამოსაკვებათ ყოველ გვარ გაიძეერობას ხმარობს: გათხრის ხალმე ქვიშინ ადგილს პატარა ორმოს, როგორც ნახატზეა დახატული, და თითონ მიიმალება ქვიშაში. ეაი იმ ჯიანჭეელას ბრალი, რომელიც მიუახლოვდება ამ ადგილს. ჩაიხედეს თუ არა ზედ ქვიშა წაეცრება, ორმოში ჩაეარდება და მტრის მსხეერპლი გახდება.

ტერმიტებმა იციან, როდესაც ქოხის განადგურებას მოინდომებენ, ჯერ იმ დედა ბოძებს, რომელზედაც ქოხის ჭერია დამყარებული, ხელს რომ ახლებენ, ეშინიათ ჭერი ჩამოწვება და ჩვენც შიგ მოეყვებით — გაეიქლიტებითო, ამიტომაც პირიქით თუ საშიშათ ნახეს, თავის პირის ცემენტით ამაგრებენ მთავარ ბოძებს რო ჭერი არ დაგვეცესო.

გაგვენი ამბობს, როცა ტერმიტები ბოთლით ღვინოს მიაგნებენ, ამა მინას ხო რას დაკაუებენო, მაგრამ პირსაცოდ ჯპრობკას კი იმ სიფთხილით გამოღრღნიან ხალმე, რო პრობკის კანი იმდენი და-

სტოეონ ხელუხლებელივ რამოდენსაც შეუძლია ღვინის დამაგრებაო. რა არი ღვინო არ დაიკცეს და ჩვენც შიგ არ ჩაეირეოთო.

მოგზაური ფორბესი საშინლათ გაოცებული იყო შემდეგის საინტერესო შემთხვევით. რამდენიმე კვირით ემგზავრნა და მერე თავის ოთახში რო შეეიდა, უნებლიეთ შეშეკრია რაღაც სამწუხარო ცვლილება თავის შეენიერ გრავიურებს, რომელნიც ჩარჩოებით კედლებზე ეკიდნენ. ახლო რო მივიდა გუნებაკენი დარწუნდა, რომ მისი შეენიერი გრავიურები თავის ჩარჩოებით ტერმიტებს დაეღრღნათ და მხოლოდ მინები-ღა ეკიდნენ თავის ალაგს და ისიც რა სასწაულით, თურმე ტერმიტებს თავის ცემენტით დამაგრებინათ მინები კედლებზე,

მხედართ-მთავარნი და წინამძღოლნი მალ-მალ აცოცდებოდენ ხოლმე რაიმე მცენარეზე და იქიდან ათვალიერებდენ რამდენათაა გზა უმიშარიო და თან რაზმის მოძრაობას გადახედამდენ. დრო-გამოშვებით ეს წინამძღოლნი ყბებით რაღაც ღაწა-ლაწს ასტეხდენ, ამაზე მთელი ჯარი საშინელს შრიალს შექნდა ხოლმეო. ჯიანჭველების ჯარი იქამდე მრავალი ყოფილა, რო სმიტმანი თურმე ერთი საათი მეტი უცდიდა, აკა როდის დაბოლოვდება რაზმთა მოძრაობაო, მაგრამ ლოდინი მოსწყენდა და ბოლო კი ჯერ არსად იყო.

როგორც ჩვენში კალია. ისე ცხელ ქვეყნებში ტერმიტები სადაც კი ბუდობენ, ნამდვილი ხეთის რისხეა არიან მცხოვრებთათვის, რადგან, როგორც

ჯიანჭველა-ლომი

